მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ბაკალავრიატის საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვის წესი

დანართი 1

დამტკიცებულია

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის 2014 წლის 11 ივლისის №25 ბრძანებით

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

1. ეს წესი განსაზღვრავს მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში (შემდგომში - „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია“) ბაკალავრიატის საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდგომში - „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა“) სტუდენტების ჩარიცხვის წესსა და პირობებს შემდეგი მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის:

1.1. თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;

1.2. ხატწერის საგანმანათლებლო პროგრამა;

1.3. საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) საგანმანათლებლო პროგრამა;

1.4. ქრისტიანული ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;

1.5. ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა;

1.6. დაზგური ხატწერის რესტავრაციის საგანმანათლებლო პროგრამა;

1.7. მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის საგანმანათლებლო პროგრამა;

1.8. ქრისტიანული ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლების მქონე პირი

1. ამ წესის პირველი მუხლით გათვალისწინებულ საბაკალავრო საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ატესტატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს;

2. თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში შემსვლელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ სპეციალურ მოთხოვნებს;

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულში - სასულიერო სემინარიაში ან/და თეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის უფლება აქვთ მხოლოდ მამაკაცებს.

მუხლი 3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა

1. ბაკალავრიატის საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესით განსაზღვრული გამოცდების შედეგების მიხედვით - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში;

2. ბაკალავრიატის საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წესდება შემდეგი შიდა გამოცდები:

2.1. ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (კატეხიზმო);

2.2. საქართველოს ისტორია;

2.3. უცხო ენა;

3. შიდა გამოცდების პროგრამებს, ჩატარების ფორმასა და თარიღს, აგრეთვე, კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებით მისაღებ შიდა გამოცდებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი შიდა სამართლებრივი აქტით;

4. შიდა გამოცდების ორგანიზებისა და შედეგების შეფასების მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოცდებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის შიდა სამართლებრივი აქტით იქმნება შესაბამისი საგნობრივი საგამოცდო კომისიები;

5. თითოეული შიდა გამოცდა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. თითოეული გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ აბიტურიენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას;

6. საგამოცდო ცხრილით დადგენილი გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში მომდევნო გამოცდაზე აბიტურიენტი არ დაიშვება;

7. საბაკალავრო საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება მისაღები საგამოცდო კომისიის შედეგების გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული კვოტის შესაბამისად - მაქსიმალური ქულიდან ქვემოთ. საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, თანაბარი საგამოცდო შედეგების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტით დადგენილ საგანში/საგნებში მიღებულ შეფასებას;

მუხლი 4. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიღებული შედეგები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ეყრდნობა აბიტურიენტის მიერ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან წარმოდგენილ ამონაბეჭდს, რომელშიც მოცემულია ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე მიღებული ქულა.

მუხლი 5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება დაწესებულებასა და აბიტურიენტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

2. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა დგება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ერთიანი აქტი და მისი გამოცემიდან 15 დღის ვადაში იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;

3. აბიტურიენტის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადაგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.